სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

681201388888516

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N160328609**

რეგისტრაციის თარიღი

**04.04.2016 წ**


ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადაბეჭდვა შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათასთხვეჭვსმეტი წლის ოთხ აპრილს მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10 პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა საქართველოს მოქალაქე შპს „ბამა+“-ს (ს/კ 206178483) დირექტორი **ირაკლი ჩახტაშრი** (დაბ. 17.03.1980წ., მცხ. თბილისი, მთისძირის ქ. 43, პირადი № 01011012854), *სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მომზადების თარიღია 02/10/2015წ., განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B15194638),* რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება აშშ-ში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში მინდობილობა/რწმუნებულების გაცემის შესახებ განცხადების გაკეთება და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: მოწმე/ხელისმომწერი: **ლაშა ლიპარტელიანი** (დაბადებული 26.10.1973წ., მცხოვრები თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი კორპუსი 1, ბინა 6, პირადი № 01005016917) და მოწმე **ნუგზარ გოგოლაძე** (დაბადებული 06.08.1975წ., მცხოვრები ხაშურის მუნიციპალიტეტი, ქ. ხაშური, ცოტნე დადიანის 47, ბინა 13, პირადი № 57001018833), რომლებმაც თავისი მხრიდან განაცხადეს, რომ ზემოთ აღნიშნული პიროვნება მათთვის ცნობილია და იგი ნამდვილად **ირაკლი ჩახტაშრია**. მე, ნოტარიუსი ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე გავაფრთხილე მოწმედ ყოფნის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მხარემ და მოწმემ განაცხადეს, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები. ამ განმარტებების მიცემის შემდეგ, მე, პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში, მოწმეთა თანდასწრებით დავადგინე განმცხადებლის ნება, რომლის შესაბამისადაც, შევადგინე მინდობილობის შემდეგი ტექსტი:

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასთექვსმეტი წლის ოთხ აპრილს მე - **შპს „ბამა+“-ს** (ს/კ 206178483) დირექტორი **ირაკლი ჩახტაშრი** (დაბ. 17.03.1980წ., მცხ. თბილისი, მთისძირის ქ. 43, პირადი № 01011012854) ამ მინდობილობით ვენდობი **ლევან დევდარიანს** (დაბადებული 17.07.1980წ., მცხოვრები თბილისი, პ. იბერის ქ. 14, ბინა 41, პასპორტი 05AA64381, პირადი № 42001003777) და **დავით ჩახტაშრს** (დაბადებული 05.02.1951წ., მცხოვრები თბილისი, მთისძირის ქ. 43 პირადი № 01011023976) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოონ **შპს „ბამა+“-ს** მოქმედი წესდებით გათვალისწინებული დირექტორის უფლება-მოვალეობები, იყვნენ წარმომადგენლები სახელმწიფო და არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ორგანოებში, სსიპ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოში, სასამართლოში (დაიცვან საზოგადოების ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში) იუსტიციის სახლს დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებაში, აგრეთვე მართონ და განკარგონ საზოგადოების სახელზე ნებისმიერ ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიში; გახსნან ახალი ანგარიშები და შემდგომ მართონ და განკარგონ აღნიშნული ანგარიშებით, აწარმოონ საბანკო, საგადასახადო, საბაჟო, სალიცენზიო ოპერაციები, თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, კონვერტირება, თანხის დეპონირება საბანკო ანგარიშებზე, ინფორმაციის მიღება ანგარიშებზე არსებული ბალანსის შესახებ, ამონაწერის გაკეთება, ისარგებლონ ინტერნეტ ბანკით, დიჯიპასით, აიღონ საგადასახადო ორგანოებიდან ანგარიშ-ფაქტურები, რისთვისაც უფლებას ვაძლევ იყვნენ ჩემი, როგორც **შპს “ბამა+“-ს** დირექტორის წარმომადგენლები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის სანოტარო ბიუროში, საგადასახადო ინსპექციაში, საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში, ბანკში, საბაჟო ორგანოებში, დადონ და გააუქმონ გარიგებები და ხელშეკრულებები, მერიაში, არქიტექტურულ სამსახურში, მერიის დაქვემდებარებულ ნებისმიერი უწყებაში, შეიტანონ ჩემი სახელით განცხადებები და განაცხადები, მიიღონ და წარადგინონ ყველა საჭირო ცნობა, დოკუმენტი, ამონაწერი, მოწმობა,

ლი, მათ შორის მიიღონ ტვირთი, გადაიხადონ გადასახადები და მოსაკრებლები, წარმოონ ანგარიშსწორებები საგადასახადოში, ბანკში, საბაჟოზე, ხელი მოაწერონ ბანკში წარსადგენ დოკუმენტაციას და სხვა საჭირო დოკუმენტებს, მიიღონ ნებართვები, განაცხადოს/გასცეს თანხმობები. ხელი მოაწერონ ნებისმიერ კონტრაქტს (მათ ცვლილება/დამატებას), სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას (მათ ცვლილება/დამატებას) და სხვა ტიპის ხელშეკრულებებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების თანხა, ვადა და სხვა პირობები.

*მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან შპს „გამა+“-ის სახელით შეიძინონ, გაასხვისონ (გაყიდონ) საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება, გააფორმონ კანონით ნებადართული გარიგება და ხელშეკრულება, თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების ყველა პირობა და ხელი მოაწერონ მათ.*

მინდობილ პირებს ეძლევათ უფლება შეასრულონ პარტნიორთა კრების ოქმით მიღებული გადაწყვეტილებები.

**მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, გადანდობის უფლების გარეშე.**

მინდობილობის ტექსტი მიმნდობს, ნოტარიუსის თანდასწრებით, პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წაუკითხა ნოტარიუსმა. ამ უკანასკნელმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს მოწმეს **ლაშა ლიპარტელიანს**. ეს აქტი შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი პირი ინახება ჩემს სანოტარო არქივში. სანოტარო არქივში აგრეთვე ინახება სანოტარო მოქმედების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ვიდეო და აუდიო ჩანაწერი ციფრულ ფორმატში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუსის არქივში, ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. შპს „გამა+“-ის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან, მიმზადების თარიღი 02.10.2015წ.;

გადახდილია სახელმწიფო 61,00 (სამოცდაერთი ლარი) ლარი: აქედან 50 (ორმოცდაათი) ლარი 29.12.2011წლის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მაღალ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 32-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური. და 9,00 (ცხრა ლარი) დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

მიმნდობის თხოვნით
ხელს აწერს: **ლაშა ლიპარტელიანი**

მოწმე: **ნუგზარ გოგოლაძე**

**ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი**



| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N190050825 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 18.01.2019 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ნინო მათუაშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2 38 36 32 591 70 99 74 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 46663295997918 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათასცხრამეტი წლის თვრამეტ იანვარს მე – საქართველოს ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №10 ვამოწმებ შპს გამა+ დირექტორის ირაკლი ჩახტაურის მიერ გაცემული მინდობილობის ფოტოასლის სისწორეს დედანთან, დადასტურებული პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნოტარიუს ნინო მათუაშვილის მიერ რეესტრით 160328609. ასლი გაიცა 3 გვერდად 2 ეგზემპლარად.

ამასთან, განვმარტავ, რომ ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და, შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად, და/ან შინაარსობრივად).

ნოტარიუსის საზღაური: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილება 31-ე მუხლის თანახმად 3 ლარი + დღგ 0.54 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-მუხლისა.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი